

ინოვაციების მხარდამჭერი საფინანსო ინსტრუმენტები

ნანა ასლამაზიშვილი

1. შესავალი

მცირე ბიზნესი ევროპის ეკონომიკური ცხოვრების არსებითი ნაწილია. იგი ეკონომიკური ზრდის, დასაქმების, შრომისა და წარმოების კულტურის განვითარების, მეცნიერული მიღწევებისა და ინოვაციების მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა. აქედან გამომდინარე, ეკონომიკის ამ სექტორის ფინანსური მხარდაჭერა ევროკომისიის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. იგი სპეციალური ფინანსური ინსტრუმენტების მეშვეობით მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ხელმისაწვდომს ხდის სერიოზული მოცულობის თანხებს, რათა მოხდეს მათი ზრდა და განვითარება.

წინამდებარე სტატიის მიზანია ევროგაერთიანებაში მოქმედი ზემოაღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტების არსისა და მათი საშუალებით მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების მექანიზმების შესწავლა. გარდა ამისა, ევროპის ქვეყნებს გააჩნიათ მცირე და საშუალო საწარმოების ინოვაციური აქტივობის წახალისების კიდევ ერთი ფინანსური მექანიზმი - ფისკალური სტიმულირება. ეს უკანასკნელი, ევროგაერთიანების ფინანსურ ინსტრუმენტებთან ერთად, მნიშვნელოვანი ბერკეტია ევროპაში ინოვაციების ფინანსური მხარდაჭერის.

წინამდებარე სტატია შემდგენილია აგებული. მეორე პარაგრაფში განხილულია ევროკომისიის სტრატეგიული ხედვა ინოვაციებისა და სამეცნიერო კვლევების პერსპექტივების თვალსაზრისით, მისი ინიციატივები ფინანსური მხარდაჭერის მოსაპოვებლად, რათა მოხდეს აღნიშნული საქმიანობის გაფართოება. კერძოდ, განიხილება კონკურენციისა და ინოვაციების ჩარჩო პროგრამის ფარგლებში მოქმედი ფინანსური ინსტრუმენტები და მათი მოქმედების მექანიზმები, აგრეთვე ევროგაერთიანების სხვა ფინანსური ინსტრუმენტები, როგორცაა რეგიონალური დაფინანსების ინიციატივები და ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების პრაქტიკა. მესამე პარაგრაფში განხილულია ევროგაერთიანების წვერი ქვეყნების გამოცდილება სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის საგადასახადო სტიმულების ფუნქციონირების სფეროში. დასასრულს წარმოდგენილია დასკვნები.

2. მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდისა და ინოვაციების დაფინანსების ბზები და საშუალებები ევროპაში

2.1. ინოვაციების ხელშეწყობის პრიორიტეტები ევროპაში

ევროგაერთიანების მასშტაბით საწარმოების საერთო რაოდენობის 99 პროცენტს მცირე და საშუალო საწარმოები შეადგენენ, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაო ადგილების 67% და მთლიანი შიდა პროდუქტის

60%-ს ამ ტერიტორიაზე¹ 2. მცირე და საშუალო ბიზნესი ასევე დიდ როლს თამაშობს ინოვაციურ პროცესებში და, ამდენად, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალაა.

მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსება დამფინანსებლებისათვის სარისკო საქმიანობაა. საჭიროა ბევრი ინვესტორისა და ფინანსური შუამავლის კეთილი ნება; რათა თავის თავზე აიღოს რისკები და ამით ხელი შეუწყოს მცირე ბიზნესის ზრდას. ამდენად, საქმეში ერთვება სახელმწიფო დახმარების მექანიზმი, რომელსაც, მეტ-ნაკლებად, ევროპის ყველა ქვეყანა მიმართავს.

სახელმწიფო დახმარება წარმოადგენს სახელმწიფოს ან სახელმწიფო რესურსების ინტერვენციას გარკვეული ეკონომიკური საქმიანობის წასახალისებლად. თუმცა, ასეთი არევა, როგორც წესი, იწვევს კონკურენტული გარემოს დეფორმაციას, რაც ეწინააღმდეგება ევროგაერთიანების საქმიანობის პრინციპებს. ამიტომაც, სახელმწიფო დახმარების შესახებ ევროგაერთიანების პოლიტიკა პასუხისმგებლობას გადანაწილებს წევრ ქვეყნებსა და ევროკომისიას შორის. მიუხედავად საერთოევროპული ინტერესებისა, კონკრეტული საწარმოს შემთხვევაში, სახელმწიფო დახმარება მაინც მნიშვნელოვანია. ევროპის კომისია, სარგებლობს რა თავისი განსაკუთრებული უფლებით – გადაწყვიტოს სახელმწიფო დახმარების ეროვნული მექანიზმების საკითხი, აწესებს განსაზღვრულ ჩარჩოებს – რა ჩაითვალოს სახელმწიფო დახმარებად, და რა არა. კერძოდ, სახელმწიფო დახმარების წესები³ განსაზღვრავს ე.წ. „დე მინიმის“⁴ წესს, რომლის მიხედვითაც თითოეულ კომპანიაზე 3 ფისკალური წლის განმავლობაში გაცემული დახმარება 200 ათას ევრომდე, არ მიეკუთვნება სახელმწიფო დახმარების კატეგორიას, რამდენადაც მას არ შეუძლია გააღწიოს იქონიოს ქვეყნებს შორის კონკურენციაზე. მეორე მხრივ, სახელმწიფო დახმარების შესახებ შეთანხმების პირობები⁵ რეკომენდაციას აძლევს ევროკომისიას აკონტროლოს ასეთი დახმარება, ხოლო წევრი ქვეყნები ვალდებული არიან წინასწარ შეატყობინონ ევროკომისიას აპირებს თუ არა სახელმწიფო დაეხმაროს ამა თუ იმ საწარმოს.

მიუხედავად ამისა, აცნობიერებს რა ინოვაციებისა და განვითარების თვალსაზრისით მცირე და საშუალო ბიზნესის უაღრესად დიდ როლს, ევროკომისიის პოლიტიკური ნება, ამ კონტექსტში, მიმართულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ხელშეწყობისაკენ, ამასვე ურჩევს ევროგაერთიანებასა და წევრ ქვეყნებსაც. ეს პროცესი ასახულია ევროპის „მცირე ბიზნესის აქტში“⁶.

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის გაძლიერების მიზნით ევროკომისიამ, ერთი მხრივ, გაამარტივა ეკონომიკის ამ სეგმენტის მიმართ

¹ http://ec.europa.eu/enterprise/policies/finance/data/index_en.htm

² Handbook on Community State Aid Rules for SMEs. 25/02/2009.

http://ec.europa.eu/competition/state_aid/studies_reports/sme_handbook.pdf

³ Handbook on Community State Aid Rules for SMEs. 25/02/2009.

⁴ „de minimis“

⁵ Treaty on the Functioning of the European Union. [http://eur-](http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2008:115:0047:0199:EN:PDF)

[lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2008:115:0047:0199:EN:PDF](http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:2008:115:0047:0199:EN:PDF)

⁶ „Think Small First“ A „Small Business Act“ for Europe (SBA), COM (2008) 394 Final, 25/6/2008.


სახელმწიფო დახმარების წესები. მეორე მხრივ, მცირე და საშუალო საწარმოებში ინოვაციური საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით 2007 წელს აამოქმედა კონკურენციისა და ინოვაციების ჩარჩო პროგრამა (იჩპ)⁷ 2007-2013 წლებისათვის, რომელმაც მცირე ბიზნესს უნდა გაუადვილოს ფინანსების მოპოვება.

სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ კვლევებსა და ინოვაციებზე ევროპა ხარჯავს გაცილებით ნაკლებს, ვიდრე, მაგალითად, აშშ და იაპონია. ევროსტატის ბოლო მონაცემებით (2007), ევროგაერთიანების მიერ კვლევებსა და ინოვაციებზე გაწეული ხარჯების წილი, მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში; შეადგენს 1.85%-ს, მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი აშშ-ში 2.62, ხოლო იაპონიაში – 3.44%-ს შეადგენს. 2008 წელს ევროგაერთიანების მასშტაბით ეს მაჩვენებელი 1.9%-მდე გაიზარდა, ზოგიერთ წევრ ქვეყანაში კი 2%-საც გადააჭარბა (მაგალითად, საფრანგეთი 2.02%, გერმანია 2.63%, ისლანდია 2.65%, ავსტრია 2.67%, დანია 2.73%, ფინეთი 3.72%, შვედეთი 3.75%⁸). ლისაბონის სტრატეგიის⁹ ფარგლებში, 2010 წლისათვის ევროგაერთიანებამ მიზნად დაისახა ამ მაჩვენებლის გაზრდა 3 პროცენტამდე, რათა უპასუხოს 21-ე საუკუნის გამოწვევას და ევროპა აქციოს დინამიური საზოგადოების ერთობად, რომელიც წამყვანი იქნება მსოფლიო მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში, განათლებისა და დასაქმების დონით, სუფთა, მწვანე და დაცული გარემოთი.

ჩანართი 1.1. ფინანსებზე წვდომის პრობლემები

ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემატიკაზე 2009 წლის ივნის-ივლისში ევროკომისიის დაკვეთით The Gallup Organization Hungary-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის (ევროპის 27 ქვეყნისა და ხორვატიის, ისლანდიისა და ნორვეგიის კომპანიების მენეჯერები) მიხედვით, ფინანსებზე წვდომის საკითხი მეორე რიგის პრობლემად (რიგით პირველად დასახელდა მომხმარებლის პონა – 29%) დაასახელა გამოკითხული კომპანიების მენეჯერთა 16%-მა. ქვეყნების მიხედვით ეს პრობლემა ყველაზე უფრო მწვავედ იჩენს თავს საბერძნეთსა (გამოკითხულ საწარმოთა 39%) და ხორვატიაში (შესაბამისად, 35%); ბელგიაში, ფინეთსა და მალტაში, აგრეთვე ნორვეგიაში, ეს პრობლემა გამოკითხულთა 8-9 პროცენტს აწუხებს.

ფინანსებზე წვდომის პრობლემები



⁷ Competitiveness and Innovation Framework Programme (CIP)

⁸ <http://epp.eurostat.ec.europa.eu/tgm/table.do?tab=table&init=1&language=en&pcode=tsc00001&plugin=1>.

⁹ ლისაბონის სტრატეგიისა და მისი მიზნების შესახებ დეტალურად იხ. თავი ..

¹⁰ 2003-2010 წლებში ასეთი საინვესტიციო პროექტების ამონათვალი იხ. http://ec.europa.eu/competition/state_aid/register/msf_2010.pdf.


2.2. კონკურენციისა და ინოვაციების ჩარჩო პროგრამა (ინპ)

ინპ შექმნილია ლისაბონის სტრატეგიის მიზნების მხარდასაჭერად და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ინოვაციებისა და ბიზნესისათვის, განსაკუთრებით დამწვები და განვითარების პროცესში მყოფი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, ხელსაყრელი გარემოს შექმნის მნიშვნელობას.

ინპ, რომლის ბიუჯეტი 3621 მლნ ევროს შეადგენს, გათვალისწინებულია 2007-2013 წლებზე და წარმოდგენილია სამი სამუშაო პროგრამით. თითოეულ მათგანს აქვს სპეციფიკური მიზნები, რომლებიც ემსახურება საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და მათი ინოვაციური შესაძლებლობების გაფართოებას. ეს პროგრამებია:

- სამეწარმეო და საინოვაციო პროგრამა (სსპ);
- ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამა (იკტ-პმპ), რომლის 2007-2013 წლების ბიუჯეტი 728 მლნ ევროს შეადგენს და ემსახურება:
 - ევროპის საინფორმაციო სივრცის შექმნას;
 - საზოგადოების ინტერესებისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების საკენ მიმართული ინფორმაციული საზოგადოების მხარდაჭერას;
 - ბიზნესში ინოვაციებისა და ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების ფინანსურ მხარდაჭერას.
- ენერჯის გონივრული გამოყენების ევროპის პროგრამა (ეიე), რომლის 2007-2013 წლების ბიუჯეტი 727 მლნ ევროს შეადგენს. მისი მიზანია ენერჯის მარეგულირებელი ახალი საშუალებების გამოძებნა, ახალ და ეფექტიან ტექნოლოგიებში ინვესტიციების მოცულობის ზრდის მხარდაჭერა.

**დანართი 12. კონკურენციისა და ინოვაციების პროგრამა 2007-2013:
სამი ძირითადი ღერძი**



იპ-ის თითქმის მესამედი განკუთვნილია ფინანსური ინსტრუმენტებისათვის, რაც არის *სსპ-ის* ნაწილი და მცირე და საშუალო ბიზნესს ეხმარება ფინანსების წვდომაში. ეს პროგრამა, ფინანსური ინსტრუმენტების მეშვეობით, ევროპის მასშტაბით 400 ათასამდე მცირე და საშუალო საწარმოს საშუალებას აძლევს 2007-2013 წლების განმავლობაში ფინანსური ინსტიტუტებიდან¹¹ მიიღოს 30 მლრდ ევრომდე დამატებითი დაფინანსება.


იპ-ის ფინანსური ინსტრუმენტების მეშვეობით ინოვაციური მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერის ქვემოთ მოცემული სქემა¹² ნათლად წარმოაჩენს ამ მხარდაჭერის მასშტაბებსა და კომპლექსურობას:

¹¹ წინა ანალოგიური პროგრამის ფარგლებში დამატებითი დაფინანსებით ისარგებლა 360 ათასამდე მცირე და საშუალო საწარმომ, 744 მლნ ევროს საერთო მოცულობის ფინანსების პირობებში.

http://ec.europa.eu/enterprise/newsroom/cf/document.cfm?action=display&doc_id=2822&userservice_id=1&request.id=0

¹² http://www.abgs.gov.tr/tarama/tarama_files/20/SC20EXP_Banking%20and%20Finance.pdf; http://www.re-cen-t.org/fileadmin/dokumenti/dokumenti/IDA_SME_Week_Budavari_EK_06.05.2009.pdf.

სქემა 1.1. იჩპ-ის ფინანსური ინსტრუმენტები და კომპანიის სასიცოცხლო ციკლი



სამეწარმეო და საინოვაციო პროგრამა (სსპ)

ევროპის კომისიის სსპ არის ერთ-ერთი განსაკუთრებული პროგრამა იჩპ-ის ფარგლებში. ამ პროგრამით კომისია ცდილობს ევროკავშირში ინოვაციებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას.

მიზნები

სსპ მოწოდებულია ხელი შეუწყოს:

- დამწყები და განვითარებადი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობას და ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების მხარდაჭერას;

- მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, განსაკუთრებით კი საგარეო თანამშრომლობის სფეროში;
- საწარმოებში ყველა სახის ინოვაციების ხელშეწყობა;
- ეკო-ინოვაციების მხარდაჭერა;
- სამეწარმეო და ინოვაციური კულტურის ხელშეწყობა;
- წარმოებასთან და ინოვაციებთან დაკავშირებული ეკონომიკური და ადმინისტრაციული რეფორმების ხელშეწყობა.

საქმიანობა

2007-2013 წლების პროგრამა, რომლის ბიუჯეტი¹³ 2.166 მლრდ ევრო თავისი მიზნების მისაღწევად მიმართავს შემდეგ ღონისძიებებს:

მცირე და საშუალო საწარმოებისათვის „ევროკავშირის ფინანსური ინსტრუმენტების“¹⁴ მეშვეობით ფინანსებზე წვდომა

ევროკავშირის ფინანსური ინსტრუმენტების დანიშნულებაა მათი ფუნქციონირების სხვადასხვა ეტაპზე მოახდინოს კომპანიების ფოკუსირება გაფართოებასა და განვითარებაზე; მხარს უჭერს ინვესტიციებს ტექნოლოგიების განსავითარებლად, ინოვაციებში (ეკო-ინოვაციების ჩათვლით), ტექნოლოგიების გადაცემასა და საწარმოო აქტივობის საზღვარგარეთ განვითარებაზე. ევროკავშირის ფინანსური ინსტრუმენტების მართვას ახორციელებს ევროპის საინვესტიციო ფონდი¹⁵ ფინანსურ ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

„კორპორატიული ევროპის ქსელი“¹⁶: ბიზნეს- და საინოვაციო მომსახურების ცენტრების ქსელი

ეს არის რეგიონალური ცენტრები, რომლებიც როგორც ევროპული ქსელის ნაწილი ახორციელებენ ინტეგრირებულ ბიზნეს- და ინოვაციურ მხარდაჭერას. ისინი საწარმოებს მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშესაწყობად სთავაზობენ მთელ რიგ მაღალხარისხიან მომსახურებას. ეს ქსელი უნიკალურია, როგორც გეოგრაფიული, ისე მცირე და საშუალო ბიზნესისათვის მომსახურების ფართო სპექტრის შეთავაზების თვალსაზრისით. იგი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სფეროში „ერთი ფანჯრის“ პრინციპით აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, რაც საჭიროა მცირე და საშუალო საწარმოებისა და ევროპის მასშტაბით სხვადასხვა კომპანიებისათვის.

ევროპის კორპორატიული ქსელი, როგორც ჭიშკარი კონკურენციისა და ინოვაციებისაკენ, ჩამოყალიბდა 40-ზე მეტი ქვეყნის 600-მდე პარტნიორი ორგანიზაციის ძალისხმევით და ემსახურება კონკურენციისა და ინოვაციების წახალისებას ლოკალურ დონეზე ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ¹⁷. იგი მიზნად ისახავს ბიზნესის მხარდაჭერას ევროკავშირის შესაძლებლობების

¹³ http://www.2007-2013.eu/by_scope_eip.php

¹⁴ "EU financial instruments"

¹⁵ European Investment Fund (EIF)

¹⁶ "Enterprise Europe Network"

¹⁷ http://www.enterprise-europe-network.ec.europa.eu/index_en.htm

გამოყენების თვალსაზრისით; კონცენტრირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე, თუმცა ხელმისაწვდომია ყველა ბიზნესისათვის, კვლევითი ცენტრებისა და უნივერსიტეტებისათვის ევროპის მასშტაბით.

ინიციატივების მხარდაჭერა მეწარმეობისა და ინოვაციების სტიმულირებისათვის

მხარდაჭერა გულისხმობს საინოვაციო კომპანიებისა და ინოვაციური პროცესების სხვა მონაწილეთა ტრანსნაციონალური ქსელების წახალისებას, საუკეთესო საინოვაციო გამოცდილების გაზიარების ათვისებით.

ინოვაციური პროდუქტები, პროცესები და მომსახურება მიმართულია გარემოზე ზემოქმედების შემცირების, დაბინძურების პრევენციის, ან ბუნებრივი რესურსების უფრო ეფექტიანად და პასუხისმგებლობით გამოყენების უზრუნველყოფისაკენ.

პოლიტიკის შემუშავების მხარდაჭერა

სსპ ფარგლებში რიგი კონფერენციების ორგანიზება სექტორალური გამოცდილების თავმოყრის, განზოგადებისა და პოლიტიკის შემქმნელთა ინფორმირების მიზნით, აგრეთვე ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობისა და პოლიტიკის თანხვედრის ხარისხის ამაღლების უზრუნველყოფა.

პროგრამა ასევე გულისხმობს პოლიტიკის შემქმნელთა მხარდაჭერას; როგორც ევროპის, ისე მსოფლიო ბაზრების ხვადასხვა სექტორში უკანასკნელი ტენდენციებისა და განვითარების ანალიზს, შედეგების გავრცელებას.

2.2. კონკურენციისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის ფინანსური ინსტრუმენტები

2.2.1. ევროპის საინვესტიციო ფონდი

ევროპის საინვესტიციო ფონდი¹⁸ დაარსდა 1994 წელს, როგორც აქციონერთა სამი ჯგუფის (ევროპის საინვესტიციო ბანკი – 63.4%, ევროკავშირი ევროკომისიის სახით – 27.4%, 17 ქვეყნის 30 სახელმწიფო და კერძო ინსტიტუტი – 9%)¹⁹ მიერ დაფუძნებული ერთობლივი საწარმო. იგი წარმოადგენს მეწარმეობისა და ინოვაციების რისკების დაფინანსების ლიდერ დეველოპერს ევროპაში. ევროპის საინვესტიციო ფონდი ოპერირებს როგორც საკუთარი სახსრების, ისე იმ რესურსების მეშვეობით, რომელთა გამოყენების მანდატი მიცემული აქვს:

- ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ (რისკების კაპიტალის მანდატი - RCM);

¹⁸ European Investment Fund (EIF)

¹⁹ <http://www.eif.org/about/shareholder/index.htm>

- ევროკავშირის მიერ, რომელიც წარმოდგენილია ევროკომისიის სახით (ი პის ფარგლებში);
- წევრი ქვეყნების ან მესამე მხარეთა მიერ.

როგორც „ფონდების ფონდი“, იგი არაპირდაპირი გზით (ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით) ახორციელებს მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსურ მხარდაჭერას. ამ მიზნით იგი იყენებს ისეთ ინსტრუმენტებს, როგორებიცაა:

- **საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტები** ერთობლივი კაპიტალის, სხვადასხვა ფონდებისა და კერძო კაპიტალის მეშვეობით, მცირე და საშუალო საწარმოების ზრდისა და ინოვაციების რისკების დაფინანსების გასაუმჯობესებლად;
- **გარანტიები და დაკრედიტის გაფართოება** სეკიურიტიზაციის²⁰ მეშვეობით, ბანკებისა და საგარანტიო ინსტიტუტების დაფინანსების გზით, რათა გაზარდოს მათი საკრედიტო შესაძლებლობები მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების გაფართოების მიზნით.

ევროპის საინვესტიციო ფონდი საქმიანობს გაფართოებული ევროპის ფარგლებში, რაც გულისხმობს 27 წევრ ქვეყანას (ევროკავშირი), ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას²¹ და კანდიდატ ქვეყნებს (თურქეთი, მაკედონია, ხორვატია).

ევროპის საინვესტიციო ფონდი, როგორც მცირე და საშუალო ბიზნესის საგარანტიო ბაზარზე თავისი გამოცდილებით აღიარებული ინსტიტუტი, ევროკავშირის სახელით (მაგ.: ი პის ფარგლებში) ფლობს რამდენიმე უფლებამოსილებას და ეროვნული და რეგიონალური მმართველი ხელისუფლების სახელით, ევროპის გაერთიანების პროგრამას JEREMIE²²-ის სახით.

გარდა ამისა, ევროპის საინვესტიციო ფონდი თანამშრომლობს მთელ რიგ ფინანსურ შუამავლებთან, როგორებიცაა ბანკები, გარანტორი ფონდები, ერთობლივი გარანტორი ინსტიტუტები, მიკროსაკრედიტო ინსტიტუტები და სხვ.

2.2.2. დაფინანსების მექანიზმი

იპის ფინანსური ინსტრუმენტები არ არის განკუთვნილი მცირე და საშუალო ბიზნესის პირდაპირი დაფინანსებისათვის. ისინი ამ პროცესს უზრუნველყოფენ ევროპის საინვესტიციო ფონდისა და შერეული ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით.

²⁰ სეკიურიტიზაცია – არალიკვიდური აქტივების ფასიან ქაღალდებად გარდაქმნის პროცესი ფინანსური მექანიზმების მეშვეობით (<http://www.investopedia.com/ask/answers/07/securitization.asp>).

²¹ ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას (EFTA) წარმოადგენს სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციას და მისი მიზანია თავისუფალი ვაჭრობისა და ეკონომიკური ინტეგრაციის წახალისება. მოიცავს 4 ქვეყანას: ისლანდიას, ლიხტენშტეინს, ნორვეგიასა და შვეიცარიას. www.efta.int/content/about-efta/about-efta/aboutefta

²² Joint European Resources for micro to medium enterprises. ამ პროგრამის შესახებ იხ. 1.4.1.

იქს აქვს რამდენიმე სქემა და ბიუჯეტი მის წინაშე დასახული მიზნების განსახორციელებლად, რის რეალიზებასაც იგი შესაბამისი ფინანსური ინსტრუმენტების მეშვეობით ახდენს. ფინანსური ინსტრუმენტის ტიპი დამოკიდებულია იმაზე, თუ განვითარების რა ეტაპზე იმყოფება და რა სახის ფინანსურ მხარდაჭერას საჭიროებს ესა თუ ის მცირე ან საშუალო საწარმო. ეს ინსტრუმენტებია:

ცხრილი 2.3.2.1

სწრაფად მზარდი და ინოვაციური მცირე და საშუალო საწარმოთა საშუალებები (GIF1 & GIF2)	მცირე და საშუალო საწარმოთა საგარანტიო საშუალებები (SMEGF)
<p>GIF1: საწარმოთა საწყისი ეტაპის ინსტრუმენტები</p> <p>GIF2: გაფართოების ეტაპის ინსტრუმენტები</p>	<p>სესხების გარანტიები მიკროკრედიტები საკუთარი კაპიტალის და კვაზი-კაპიტალის გარანტიები სეკიურიტიზაცია</p>

სწრაფად მზარდი და ინოვაციური მცირე და საშუალო საწარმოთა საშუალებები²³ გამიზნულია მცირე და საშუალო საწარმოთა დასახმარებლად მათი შექმნისა და განვითარების საწყის ეტაპზე. ეს ინსტრუმენტები რეალიზდება:

- **სარისკო კაპიტალის სახით ინოვაციური მცირე და საშუალო საწარმოების შექმნის საწყის ეტაპზე**, რომლის დროსაც ევროპის საინვესტიციო ფონდი ახორციელებს შუამავალი სარისკო კაპიტალის ფონდის მიერ ფორმირებული მთლიანი ფონდის 10-25 ან, განსაკუთრებულ შემთხვევებში, 50 პროცენტამდე დაფინანსებას;
- **სარისკო კაპიტალის სახით პოტენციურად სწრაფად მზარდი მცირე და საშუალო საწარმოების გაფართოების ეტაპზე**, რომლის დროსაც ევროპის საინვესტიციო ფონდი ახორციელებს შუამავალი სარისკო კაპიტალის ფონდის მიერ ფორმირებული მთლიანი ფონდის 7.5-15 ან, გამონაკლის შემთხვევებში, 50 პროცენტამდე დაფინანსებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევროპის საინვესტიციო ფონდი არ ახდენს მცირე და საშუალო საწარმოების პირდაპირ დაფინანსებას. GIF1 და GIF2 ბიზნეს-სახის მეშვეობით იგი ავალებს სპეციალიზებულ ფონდებს განახორციელონ მცირე ბიზნესის ფინანსური საშუალებებით უზრუნველყოფა²⁴.

საკუთარი კაპიტალის დაფინანსება

²³ High-Growth and Innovative SME Facility (GIF).

²⁴ http://www.eif.europa.eu/equity/resources/european_commission/index.htm

მცირე და საშუალო საწარმოები, რომელთაც სურთ საკუთარი კაპიტალისათვის მიიღონ ინვესტიციები, უკავშირდებიან ფონდებს, რომლებსაც აქვთ შეთანხმება ევროპის საინვესტიციო ფონდთან (ფონდების სია იხ. ქვემოთ). ეს ფონდები ნორმალური კომერციული კრიტერიუმებიდან გამომდინარე ახორციელებენ ინვესტიციებს.

ცხრილი 2.3.2.2

ფონდების ჩამონათვალი, რომელთაც აქვთ შეთანხმება ევროპის საინვესტიციო ფონდთან

ფონდის დასახელება	დანიშნულება	ქვეყანა	სექტორი	ინვესტიციების დასრულების პერიოდი
360 Capital One	CIP	Italy	ICT	12/6/2011
Adara Ventures SICAR	ETF SU MAP	Spain	ICT	31/12/2008
Aescap Venture	ETF SU MAP	Netherlands	Life Sciences	07/07/2012
Albuquerque Fund	CIP	Portugal	Generalist	4/12/2012
Auriga Ventures III	ETF SU MAP	France	ICT-Life Sciences	07/10/2011
Baltcap	CIP	Estonia	Generalist	12/13/2012
Big Bang Ventures II	ETF SU MAP	Belgium	ICT	09/03/2011
Capital-E	ETF SU MAP	Belgium	ICT	11/01/2011
Capricorn	CIP	Belgium	ICT	11/9/2011
Chalmers Innovation TTA Fund	CIP	Sweden	ICT	7/24/2011
Creandum II L.P.	ETF SU MAP	Sweden	ICT	31/01/2012
Creathor	ETF SU MAP	Germany	ICT-Life Sciences	05/07/2011
Crescent Capital II	ETF SU MAP	UK	Generalist	06/04/2010
Debaeque II FCR	ETF SU MAP	Spain	ICT	28/07/2009
Dritte SHS Fund III	CIP	Germany	Life Sciences	3/31/2013
Eden One LP	ETF SU MAP	UK	ICT	16/12/2010
EMBL Technology Fund	ETF SU MAP	Germany	Life Sciences	20/12/2007
Fountain Healthcare Partners I	CIP	Ireland	ICT-Life Sciences	3/4/2013
Gilde Healthcare II	ETF SU MAP	Netherlands	Life Sciences	03/07/2011
Innogest Capital	ETF SU MAP	Italy	ICT	30/04/2011
Inventure Fund	CIP	Finland	ICT	1/22/2013
IP Venture Fund	ETF SU MAP	UK	ICT-Life Sciences	07/07/2011
Mangrove II (ex-New Tech Venture Capital Fund II)	ETF SU MAP	Luxembourg	ICT	26/09/2010
Pentech II	CIP	UK	ICT	11/27/2010
Pontis Venture Partners I Beteiligungs-Invest AG	ETF SU MAP	Austria	ICT-Life Sciences	31/12/2008
Talde Capital II, F.C.R.	ETF SU MAP	Spain	ICT-Life Sciences	26/10/2010
The Environmental Technologies Fund	ETF SU MAP	UK	ICT (Cleantech)	30/11/2011
UMIP	CIP	UK	ICT	3/27/2013
Wellington Partners III Life Science Fund L.P.	ETF SU MAP	Germany	Life Sciences	18/12/2010

ფინანსური ინსტიტუტები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან იკში მონაწილეობით, უნდა დაუკავშირდნენ ევროპის საინვესტიციო ფონდს, რომელიც განაგებს ფინანსურ ინსტრუმენტებს.

მცირე და საშუალო საწარმოების საგარანტიო საშუალებები

მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის სისტემის მექანიზმის ქმედითობის გაძლიერების მიზნით, *ი პ* აყალიბებს გარანტიების სისტემას, რომელიც ცნობილია მცირე და საშუალო საწარმოების საგარანტიო საშუალებების²⁵ სახელწოდებით.

SMEGF დაფუძნებულია ევროკავშირის მიერ *ი პ* -ის ფარგლებში²⁶. მას ევროკავშირის სახელით²⁷ მართავს ევროპის საინვესტიციო ფონდი. მისი (SMEGF-ის) მიზანია ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო საწარმოების წვდომას ფინანსებზე და მოხდეს ინოვაციური საქმიანობის განვითარება და გააქტიურება. ამისათვის, ფინანსური შუამავლების წახალისების მიზნით SMEGF-ის ფარგლებში გაიცემა სასესხო გარანტიები, რათა მათ უზრუნველყონ მცირე და საშუალო საწარმოთა დაფინანსება, მიკროკრედიტებისა და მეორადი დაფინანსების ათვისებით. SMEGF გასცემს თანა-, უკუ- და პირდაპირ გარანტიებს ფინანსურ შუამავლებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მცირე და საშუალო საწარმოებს სათანადო დაფინანსებით. ოთხი ე.წ. „ფანჯარა“ ("windows") უზრუნველყოფს მცირე ბიზნესის ფინანსებზე წვდომას ამ მექანიზმით:

- **სასესხო გარანტიები** უზრუნველყოფს სესხების გაცემას პოტენციურად მხარდი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის და ითვალისწინებს საშუალო- და გრძელვადიან დაფინანსებას.
- **მიკრო-კრედიტები** უზრუნველყოფს 25 ათას ევრომდე სესხებს მიკროსაწარმოებისათვის, 9 კაცამდე დასაქმებულთა საერთო რიცხვით, ძირითადად საქმიანობის საწყის ეტაპზე.
- **საკუთარი და კვაზი-სააქციო კაპიტალის გარანტიები** უზრუნველყოფს ინვესტიციების პორტფელს მცირე და საშუალო საწარმოებში ანასახისა და საწყის ეტაპებზე, 249 კაცამდე დასაქმებულთა რიცხვით; კვაზი საკუთარი კაპიტალის უზრუნველყოფა აფინანსებს მცირე და საშუალო საწარმოებს მათი დაფუძნების სტადიაზე. ორივე ამ სახის დაფინანსება ხელს უწყობს მცირე ბიზნესის დაფინანსების სტრუქტურის გაუმჯობესებას.
- **სეკიურიტიზაცია** უზრუნველყოფს ოპერაციების სეკიურიტიზაციის მხარდაჭერას, რათა ფინანსურმა შუამავლებმა შეძლონ მცირე და საშუალო ბიზნესისათვის დამატებითი ფინანსების მობილიზება.

*ი პ*ის სასესხო გარანტიების „ფანჯარა“²⁸.

ძირითადი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ევროგაერთიანება, ევროპის საინვესტიციო ფონდის მეშვეობით, ნაწილობრივ უზრუნველყოფს სესხებს,

²⁵ SMEGF – Small and Medium Enterprises Guarantee Facility.

²⁶ Notice of Implementation of the SME Guarantee Facility under the Competitiveness and Innovation Framework Programme (2007-2013). 2007/C 226/02.

http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/site/en/oj/2007/c_226/c_22620070926en00020003.pdf

²⁷ ეს უფლებამოსილება ევროპის საინვესტიციო ფონდს (EIF) გადასცა ევროკომისიამ 2007 წლის სექტემბერში.

²⁸ CIP Loan Guarantee Window.

რომლებსაც ადგილობრივი ინსტიტუტები გასცემენ მცირე და საშუალო ბიზნესისათვის. ეს ხდება რისკების გადანაწილების სახით ევროპის საინვესტიციო ფონდსა და მის ადგილობრივ პარტნიორ შუამავლებს შორის, რაც მიზნად ისახავს მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსების სტიმულირებას.

შუამავალი პარტნიორი მხარის ტიპისა და მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ევროპის საინვესტიციო ფონდი იძლევა:

- **პირდაპირ გარანტიებს**²⁹ შუამავლებზე, რომლებიც პირდაპირ აფინანსებენ მცირე და საშუალო საწარმოებს. ევროკავშირის სესხების უზრუნველყოფა ნაწილობრივ ფარავს სესხების პორტფელს, საიჯარო ხელშეკრულებებს ან სხვა სახის ვალდებულებებს.
- **კონტრ-გარანტიებს**³⁰ შუამავლებზე, რომლებიც გასცემენ გარანტიებს საკრედიტო ინსტიტუტებზე, რომლებიც, თავის მხრივ, აფინანსებენ მცირე და საშუალო ბიზნესს.

ი პის საკუთარი კაპიტალის უზრუნველყოფის „ფანჯარა“³¹.

როგორც სასესხო გარანტიების „ფანჯრის“ დროს, ამ შემთხვევაშიც ძირითადი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ევროგაერთიანება, ისევე ევროპის საინვესტიციო ფონდის მეშვეობით, ნაწილობრივ უზრუნველყოფს ძირითადი ან მეორადი კაპიტალის პორტფელს, რომლებსაც ფინანსური ინსტიტუტები გასცემენ მცირე და საშუალო ბიზნესისათვის.

შუამავალი პარტნიორი მხარის ტიპისა და მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ევროპის საინვესტიციო ფონდი იძლევა:

- **პირდაპირ გარანტიებს** შუამავლებზე, რომლებიც პირდაპირ აფინანსებენ მცირე და საშუალო საწარმოებს. ევროკავშირის გარანტიები ნაწილობრივ ფარავს მეორად კაპიტალს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის.
- **კონტრ-გარანტიებს** შუამავლებზე, რომლებიც გასცემენ გარანტიებს მცირე და საშუალო საწარმოების საკუთარი და მეორადი კაპიტალის დასაფინანსებლად.

ი პის მიკრო-კრედიტების უზრუნველყოფის „ფანჯარა“³².

ძირითადი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ ევროგაერთიანება, ევროპის საინვესტიციო ფონდის მეშვეობით, ნაწილობრივ უზრუნველყოფს მიკრო-კრედიტების პორტფელს, რომლებსაც ფინანსური ინსტიტუტები (შუამავლები) გასცემენ ძალიან მცირე საწარმოებზე. რისკების გადანაწილების მექანიზმი, ევროპის საინვესტიციო ფონდსა და თითოეულ შუამავალს შორის, მიზნად ისახავს მიკროდაფინანსების სტიმულირებას.

²⁹ Direct Guarantees.

³⁰ Counter-Guarantees.

³¹ CIP Equity Guarantee Window.

³² CIP Micro-credit Guarantee Window.

შუამავალი ფინანსური ინსტიტუტის ტიპისა და მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ევროპის საინვესტიციო ფონდი იძლევა:

- **პირდაპირ გარანტიებს** შუამავლებზე, რომლებიც მიკრო-კრედიტებს გასცემენ მცირე და საშუალო საწარმოებზე. ევროკავშირის მიკრო-კრედიტების უზრუნველყოფა ნაწილობრივ ფარავს მიკრო-კრედიტების პორტფელს გაცემულს მიკრო-საწარმოებზე.
- **კონტრ-გარანტიებს** შუამავლებზე, რომლებიც გასცემენ გარანტიებს მიკროსაწარმოებზე გაცემული მიკროკრედიტების დასაფარავად. ევროკავშირის მიკრო-კრედიტების უზრუნველყოფა ნაწილობრივ ფარავს ასეთი სახის გარანტიების პორტფელს.

ი პის სეკიურიტიზაციის „ფანჯარა“³³.

სეკიურიტიზაციის „ფანჯრის“ ფარგლებში, ევროპის საინვესტიციო ფონდი გასცემს ევროგაერთიანების გარანტიებს მცირე და საშუალო საწარმოების ოპერაციების სეკიურიტიზაციის განსახორციელებლად, რაც ფინანსურ ინსტიტუტებს საშუალებას აძლევს მოახდინონ თავიანთი რესურსების დივერსიფიკაცია საკრედიტო რისკების გადაცემის გზით. ამ ინსტრუმენტის მიზანია დაბალრეიტინგიან ინსტიტუტებს გზა გაუხსნას კაპიტალის ბაზრებისაკენ, როგორებიცაა ძალიან პატარა ბანკები. ი პის სეკიურიტიზაციის მიზანი არის მცირე და საშუალო ბიზნესისათვის დამატებითი დაფინანსების საშუალების შექმნა.

ევროგაერთიანების გარანტიების სანაცვლოდ, დამფუძნებლები ქმნიან ახალ, „დამატებითი პორტფელის“ სახელით ცნობილ პორტფელს მცირე და საშუალო ბიზნესის დასაფინანსებლად, შეთანხმების მოქმედების პერიოდისათვის. ასეთი პორტფელის ზომა და შემადგენლობა დამოკიდებულია ევროგაერთიანების გარანტიის ზომასა და რანგზე, მაგრამ იგი არ უნდა იყოს სეკიურიტიზებული პორტფელის 50 პროცენტზე ნაკლები. დამატებითი პორტფელი უნდა ითვალისწინებდეს მცირე და საშუალო ბიზნესის საშუალო-და გრძელვადიან დაფინანსებას.

2.3.3. შესაბამისობის კრიტერიუმები

მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსების გარანტიების მექანიზმები მოქმედებს გარკვეული შესაბამისობის კრიტერიუმების ფარგლებში. ევროკავშირის „რეკომენდაციები“ მკაცრად განსაზღვრავს გარანტიების მიმღებთა, მათი ოპერაციების, დაფინანსების მიზნებისა და ვადების კრიტერიუმებს.

სესხების უზრუნველყოფის „ფანჯრის“ ფარგლებში შესაბამისობის კრიტერიუმია საბოლოო ბენეფიციარი. ასეთს წარმოადგენს მცირე და საშუალო საწარმო, რომელშიც, ევროკომისიის 2003/361/EC „რეკომენდაციების“ შესაბამისად, დასაქმებულია არაუმეტეს 250 კაცისა, წლიური ბრუნვა შეადგენს არაუმეტეს 50 მლნ ევროს და/ან წლიური ბალანსი არ აღემატება 43 მლნ ევროს.

³³ CIP Securitization Window.

მიკრო კრედიტების „ფანჯრის“ ფარგლებში, საბოლოო ბენეფიციარი უნდა იყოს მიკრო საწარმო, რომელშიც „რეკომენდაციების“ შესაბამისად, დასაქმებულია 10 კაცზე ნაკლები და წლიური ბრუნვა და/ან წლიური ბალანსი შეადგენს არაუმეტეს 2 მლნ ევროს.

საკუთარი კაპიტალის უზრუნველყოფის „ფანჯრის“ ფარგლებში საბოლოო ბენეფიციარი უნდა იყოს დამწყები მცირე და საშუალო საწარმო, ან, თუ უკვე დაფუძნებულია – საქმიანობის პერიოდი არ უნდა აჭარბებდეს 10 წელს.

საბოლოო ბენეფიციარი დაფუძნებული უნდა იყოს ევროკავშირის წევრ ქვეყანაში, ასევე – ნორვეგიაში, ლისტენშტეინში, ისლანდიაში, ხორვატიაში, მონტენეგროში, სერბეთში, მაკედონიაში, თურქეთში, ან სხვა ქვეყანებში, რომელთა შესახებაც ევროპის საინვესტიციო ფონდი დროდადრო აახლებს ინფორმაციას³⁴.

საბოლოო ბენეფიციარის ოპერაციების მიმართ გამოყენებული კრიტერიუმებია:

დაფინანსების ტიპი

სასესხო გარანტიების „ფანჯრის“ ფარგლებში გარანტიები მოიცავს საშუალო და გრძელვადიანი დაფინანსების პორტფელებს, როგორცაა სესხები და/ან საიჯარო ოპერაციები, ან, კონტრგარანტიის შემთხვევაში, გარანტიების პორტფელს, გაცემულს შუამავლის მიერ ასეთი დაფინანსების დასაფარად.

მიკრო კრედიტების „ფანჯრის“ ფარგლებში გარანტიები მოიცავს ისეთი მიკრო სესხების პორტფელებს, რომელთა მოცულობა არ აღემატება 25 ათას ევროს, ან ასეთი მიკრო სესხებისათვის გაცემული გარანტიების პორტფელებს.

საკუთარი კაპიტალის უზრუნველყოფის „ფანჯრის“ ფარგლებში კვაზი-საკუთარი კაპიტალის გარანტიები მოიცავს მეორადი კაპიტალის დაფინანსებას (როგორებიცაა სუბორდინირებული სესხების, მოგებაში მონაწილეობის უფლებების ან კონვერტირებადი ობლიგაციების დაფინანსება), ან გარანტიებს ამ ტიპის ოპერაციებზე. საკუთარი კაპიტალის გარანტიები მოიცავს გარანტიებს, გაცემულს შუამავლის მიერ საკუთარ კაპიტალში ინვესტირებაზე.

დაფინანსების მიზანი

სასესხო გარანტიებისა და მიკრო კრედიტების „ფანჯრების“ ფარგლებში საბოლოო ბენეფიციარის ოპერაციების მიზანი უნდა იყოს:

- ინვესტიციები მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებში
- ბიზნეს ოპერაციების დაფინანსება;
- საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება;
- საინოვაციო საქმიანობის, მათ შორის ტექნოლოგიების განვითარებისა და ლიცენზიების შექმნის დაფინანსება.

³⁴ www.eif.org

საკუთარი კაპიტალის უზრუნველყოფის „ფანჯრის“ დროს დაფინანსების მიზანი დაკავშირებულია საკუთარ კაპიტალში ინვესტირებასთან.

ვადიანობა

სასესხო გარანტიების „ფანჯრის“ შემთხვევაში საბოლოო ბენეფიციარის ოპერაციები სულ მცირე 18 თვიან ვადას უნდა ითვალისწინებდეს, მიკრო კრედიტების „ფანჯრის“ დრო კი არანაკლებ 12 თვეა.

საგარანტიო ხელშეკრულება კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე შესაძლოა ითვალისწინებდეს დამატებითი შესაბამისობის კრიტერიუმებს.

„საგარანტიო ჭერი“³⁵

ევროპის საინვესტიციო ფონდის მიერ გაცემული გარანტიების სიდიდე დამოკიდებულია ფაქტიური პორტფელის მოცულობაზე და დაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\text{„საგარანტიო ჭერი“} = \text{ფაქტიური პორტფელის მოცულობა} \times \text{საგარანტიო განაკვეთი} \times \text{საგარანტიო ჭერის განაკვეთი,}$$

სადაც:

ფაქტიური პორტფელის მოცულობა - არის ევროპის საინვესტიციო ფონდში ფაქტიური პორტფელის შესახებ წარდგენილი ბოლო მონაცემი;

საგარანტიო განაკვეთი - დაკავშირებულია საშუაშაველო დანაკარგებთან, სასესხო გარანტიებისა და საკუთარი კაპიტალის უზრუნველყოფის „ფანჯრების“ შემთხვევაში 50%-მდეა, ხოლო მიკრო კრედიტების უზრუნველყოფის „ფანჯრის“ შემთხვევაში – 75%-მდე.

„საგარანტიო ჭერის“ განაკვეთი - წარმოადენს საგარანტიო ხელშეკრულებაში აღნიშნულ და შუაშაველის გარანტიით განსაზღვრული პორტფელის მოსალოდნელი დანაკარგების შეფასებიდან გამომდინარე პროცენტულ განაკვეთს³⁶.


ამდენად, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი ფინანსური ინსტრუმენტების მოქმედების მექანიზმი³⁷, გამარტივებული სახით, შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

³⁵ Guarantee Cap.

³⁶ CIP: Competitiveness and Innovation Framework Programme . SME Guarantee Facility. European Investment Fund. http://www.eif.org/attachments/guarantees/cip/CIP_Blueprint_150509.pdf

³⁷ http://siteresources.worldbank.org/EXTECAREGTOPPRVSECDEV/Resources/570954-1211578683837/Budavari_EU_EU-support_programs_for_SME_finance.pdf

სქემა 1.2. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერი ფინანსური ინსტრუმენტების მოქმედების მექანიზმი



1.4. ევროკავშირის სხვა ფინანსური ინსტრუმენტები

1.4.1. რეგიონალური დაფინანსების ინიციატივები

ინოვაციების მხარდაჭერას რეგიონების დონეზე დიდი ყურადღება ექცევა, რაც ევროკავშირის სტრუქტურული ფონდების მეშვეობით ხორციელდება. ევროპის რეგიონალური განვითარების ფონდი³⁸, ევროპის სოციალური ფონდი³⁹ და შეკავშირების ფონდი⁴⁰ ორგანიზაციებს სთავაზობენ მიიღონ ევროკავშირის დაფინანსება რეგიონალურ დონეზე. ამ ფონდების მიზანია ინოვაციების, მეწარმეობის და გარემოს დაცვითი ღონისძიებების მხარდაჭერა და ინვესტირება მუშაკთა საწარმოო უნარების განვითარებაში.

სქემა 1.4.1.1. სტრუქტურული ფონდები: მიზნები და ინსტრუმენტები 2007-2013⁴¹

მიზნები	სტრუქტურული ფონდები და ინსტრუმენტები		
დაახლოება	ევროპის რეგიონალური განვითარების ფონდი	ევროპის სოციალური ფონდი	შეკავშირების ფონდი
რეგიონალური კონკურენცია და დასაქმება	ევროპის რეგიონალური განვითარების ფონდი	ევროპის სოციალური ფონდი	
ევროპის ტერიტორიული თანამშრომლობა	ევროპის რეგიონალური განვითარების ფონდი		

ევროპის რეგიონალური განვითარების ფონდი ემსახურება რეგიონებს შორის ეკონომიკური და სოციალური წონასწორობის აღდგენას და აფინანსებს:

- სამუშაო ადგილების შექმნას;
- სამეცნიერო კვლევებთან და ინოვაციურ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- ფინანსურ ინსტრუმენტების რეგიონალური და ადგილობრივი განვითარებისა და თანამშრომლობისათვის.

ევროპის სოციალური ფონდი მოწოდებულია ევროკავშირის მასშტაბით გააუმჯობესოს დასაქმების დონე, რისთვისაც იგი მხარს უჭერს:

- მუშაკთა და საწარმოთა ადაპტაციას;
- ინოვაციური ორგანიზაციების მოწყობასა და გავრცელებას;
- უნარშეზღუდულთა სოციალურ ადაპტაციას და სამუშაო ძალის ბაზარზე დისკრიმინაციის აღმოფხვრას;

³⁸ European Regional Development Fund.

³⁹ European Social Fund.

⁴⁰ Cohesion Fund.

⁴¹ http://ec.europa.eu/regional_policy/policy/object/index_en.htm

- ადამიანური კაპიტალის გაძლიერებას.

შეკავშირების ფონდი ეხმარება წევრ ქვეყნებს, რომელთა მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე, ევროგაერთიანების მიხედვით, ანალოგიური საშუალო მაჩვენებლის 90%-ზე ნაკლებია. 2007-2013 წლებისათვის ეს ფონდი მოიცავს ბულგარეთს, კვიპროსს, ჩეხეთს, ესტონეთს, საბერძნეთს, უნგრეთს, ლატვიას, ლიტვას, მალტას, პოლონეთს, პორტუგალიას, რუმინეთს, სლოვაკეთს და სლოვენიას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ევროპის საინვესტიციო ფონდთან ერთად ხელმისაწვდომია ევროკავშირისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის ერთობლივი რეგიონალური დაფინანსების ინიციატივა **JEREMIE**⁴², რომლის მიზანია მხარი დაუჭიროს რეგიონში მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობას და საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსებას. გრანტებისაგან განსხვავებით, რომლებიც ერთჯერადი გამოყენებისაა, **JEREMIE** ინსტრუმენტებს აქვთ დამატებითი სარგებელი, რადგანაც მოცემული რესურსები შესაძლებელია რამდენჯერმე რეინვესტირებულ იქნას.

JEREMIE მცირე და საშუალო საწარმოებს სთავაზობს მთელ რიგ არასტანდარტულ ფინანსურ ინსტრუმენტებს. მისი პროდუქტების სტრუქტურა მოცემულია ქვემოთ:

სქემა 14.12. JEREMIE-ის პროდუქტები

	საწყისი ეტაპი	ადრინდელი ეტაპი	გაფართოების ეტაპი
საკუთარი კაპიტალი	სარისკო კაპიტალი		
ვალდებულებები	მიკროფინანსები/რისკების განაწილების პროდუქტები		
	გარანტიები/რეფინანსირების ოპერაციები		
კვაზი საკუთარი კაპიტალი	მონაწილეობის სესხები	შუალედური ფონდები	
სხვა ინსტრუმენტები	ტექნოლოგიების ტრანსფერის დაფინანსება		

JEREMIE არ არის ინსტიტუტი. იგი ერთგვარი პროცესია, რომელიც შესაძლებლობას აძლევს წევრ ქვეყნებს და რეგიონებს ზემოთ მოტანილი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით მოახდინონ ფონდების ინვესტირება და რეინვესტირება. მისი რესურსების წყაროა ევროგაერთიანების სტრუქტურული ფონდები⁴³.

⁴² Joint European Resources for micro to medium enterprises.

<http://www.eif.org/jeremie/activity/index.htm>

⁴³ http://ec.europa.eu/regional_policy/funds/cf/index_en.htm

14.2. ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსება რეგიონებში

ევროპის საინვესტიციო ბანკი მცირე და საშუალო საწარმოებს აფინანსებს 1968 წლიდან. მისი საქმიანობის მთავარი პრიორიტეტებია:

- ევროგაერთიანების შეკავშირება და დაახლოება;
- მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ხელშეწყობა;
- გარემოს მდგრადობა;
- ევროგაერთიანების ეკონომიკის ტრანსფორმირება ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკად;
- ტრანსევროპული ქსელი ტრანსპორტისა და ენერჯისათვის;
- დაცულობა, მდგრადობა და კონკურენტუნარიანობა ენერჯის მიწოდებაში.

დღეისათვის ევროპის საინვესტიციო ბანკი ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებს.

ეროვნულ ფინანსურ ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ევროპის საინვესტიციო ბანკი სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების (საკრედიტო ხაზების, სარისკო კაპიტალში ინვესტირებისა და საბანკო გარანტიების) მეშვეობით განაგრძობს ინოვაციების დაფინანსებას ევროპაში.

ევროპის საინვესტიციო ბანკსა და იტალიის Intesa Sanpaolo ჯგუფს იტალიაში გაფორმებული აქვთ 470 მლნ ევროს მოცულობით 4 ახალი შეთანხმება:

- მცირე და საშუალო ბიზნესის დასაფინანსებლად;
- ენერჯისა და გარემოს სფეროში კვლევებისათვის;
- ახალი ტექნოლოგიებისა და
- სკოლებისა და ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობისათვის.

2008 წელს ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ იტალიის ეკონომიკის დაფინანსება 48 პროცენტით გაიზარდა და 8.3 მლრდ ევროს გაუტოლდა.

2009 წელს ევროპის საინვესტიციო ბანკს, იტალიის Associazione Bancaria-სა და Confindustria-ს შორის დაიდო ჩარჩო ხელშეკრულება ინვესტიციების კვლევის, განვითარებისა და ინოვაციების სფეროში იტალიური კომპანიების, აგრეთვე მცირე და საშუალო ბიზნესის დასაფინანსებლად.

ევროპის საინვესტიციო ბანკი უნგრეთში კვლევებისა და ინოვაციების სფეროს, წილობრივი დაფინანსების წესით, 440 მლნ ევროს მოცულობის

სესხით აფინანსებს, დანიის GRUNDFOS ჯგუფის კვლევებისა და განვითარების პროგრამას – 80.4 მლნ ევროთი.

ევროპის საინვესტიციო ბანკი უდიდესი საერთაშორისო ინვესტორია აღმოსავლეთ ბალკანეთის რეგიონშიც. ბოლო 9 წლის განმავლობაში მან ამ რეგიონში დააფინანსა 6.1 მლრდ ევროს მოცულობის ინოვაციური პროექტები.

ეს არის მხოლოდ მცირე ამონათვალი იმ ქვეყნებისა და პროექტების, რომლებიც ევროპის საინვესტიციო ბანკის მეშვეობით ფინანსდება.

2. საგადასახადო სტიმულები კვლევებსა და განვითარებაზე

ფისკალური სტიმულირების თემა ევროპის ქვეყნებისათვის ახალი არ არის. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში კვლევების წახალისების ასეთ ფორმას მიმართავდნენ ბელგიაში, საფრანგეთსა და ნიდერლანდებში.

სამეცნიერო კვლევების გაფართოება და ინოვაციები მი ნეულია ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად. აქედან გამომდინარე, ევროპის მთელი რიგი ქვეყნების მთავრობები მიმართავენ კვლევითი საქმიანობის წახალისების სხვადასხვა მექანიზმებს, პარტნიორულ საფუძველზე კვლევებში კერძო სექტორის ართვის, კერძო კვლევების პირდაპირი დაფინანსებისა და საგადასახადო სტიმულების შემოღების ათვლით.

საგადასახადო სტიმულების გამოყენების პრაქტიკა დამოკიდებულია წვერი ქვეყნების დარგობრივ სტრუქტურასა და კვლევითი საქმიანობის განვითარების, მაკროეკონომიკური მდგომარეობისა და საგადასახადო გარემოს სპეციფიკურ თავისებურებებზე.

ფისკალური წახალისების ფორმები განსხვავებულია. იგი ითვალისწინებს დასაბეგრი ბაზის ან საგადასახადო განაკვეთის შემცირებას, რაც გამოიყენება კვლევებზე გაწეული დანახარჯების ან კვლევებზე გაწეული დანახარჯების მატების მიმართ.

დღეისათვის ევროგაერთიანების 25 ქვეყნიდან 15-ის⁴⁴ საგადასახადო კანონმდებლობაში გათვალისწინებულია საგადასახადო სტიმულები. ამასთან, ამ ქვეყნების უმრავლესობაში ეს სტიმულები ერთნაირად ვრცელდება როგორც ყველა ტიპის კომპანიაზე, ისე ყველა სახის კვლევაზე გაწეული

⁴⁴ ეს ქვეყნებია: ავსტრია, ბელგია, გაერთიანებული სამეფო, დანია, ესპანეთი, ირლანდია, იტალია, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი (2006), პორტუგალია, საფრანგეთი, სლოვენია, უნგრეთი, ჩეხეთი (2006).

დანახარჯების მიმართ⁴⁵ ⁴⁶ ⁴⁷. იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც არ იყენებენ ფისკალური წახალისების პრაქტიკას, არიან კვლევების მაღალი ინტენსიურობის ქვეყნები. მაგალითად, გერმანია, ფინეთი და შვეიცარია, და ქვეყნები, რომლებიც ხასიათდებიან კვლევების დაბალი ინტენსიურობით, მაგალითად, კვიპროსი, ესტონეთი და სლოვაკეთი⁴⁸.

ევროპის ქვეყნებში, კვლევებისა და ინოვაციების წახალისების მიზნით, სხვადასხვა დოზით გამოიყენება როგორც პირდაპირი დაფინანსების, ისე ფისკალური შეღავათების პრაქტიკა (იხ. ცხრილი 3.1). მაგალითად, საფრანგეთი და გაერთიანებული სამეფო იყენებენ ორივე მექანიზმს; იტალიაში უპირატესობას ანიჭებენ პირდაპირ დაფინანსებას, ხოლო პორტუგალიასა და ესპანეთში, პირიქით, ნაკლებად მიმართავენ პირდაპირ დაფინანსებას და უპირატესობა ენიჭება საგადასახადო სტიმულებს.

ცხრილი 3.1

კვლევების პირდაპირი და არაპირდაპირი დაფინანსების პრაქტიკა ევროპის ქვეყნებში⁴⁹

უპირატესად პირდაპირი დაფინანსება და არახელსაყრელი საგადასახადო რეჟიმი	უპირატესად პირდაპირი დაფინანსება და ხელსაყრელი საგადასახადო რეჟიმი
იტალია	საფრანგეთი გაერთიანებული სამეფო
ნაკლებად პირდაპირი დაფინანსება და არახელსაყრელი საგადასახადო რეჟიმი	ნაკლებად პირდაპირი დაფინანსება და ხელსაყრელი საგადასახადო რეჟიმი
ნორვეგია, გერმანია, ბელგია, ირლანდია, ფინეთი, საბერძნეთი, ისლანდია	შვედეთი, ესპანეთი, პორტუგალია, ავსტრია, ნიდერლანდები, დანია

ამასთან, ქვეყნების მთავრობების მიერ კვლევების პირდაპირი დაფინანსების პრაქტიკა ხშირად მწვავე კრიტიკის საგანია, რადგან ის კონკურენციას უწევს კერძო კაპიტალის ინვესტირებას კვლევებში. თუმცა მიჩნეულია, რომ საგადასახადო სტიმულებთან შედარებით პირდაპირი დაფინანსება უფრო გამჭვირვალე პროცესია.

⁴⁵ თუმცა, რა სახის კვლევები დაექვემდებაროს საგადასახადო შეღავათებს, ევროპის ქვეყნებში მაინც არის დისკუსიის საგანი. ევროგაერთიანების ბევრი ქვეყანა საგადასახადო მიზნებისათვის კვლევების შედარებით შეზღუდულ განმარტებას იყენებს. ზოგიერთი ქვეყანა საგადასახადო სტიმულებს იყენებს ფუნდამენტური კვლევების მიმართ, მაშინ, როცა სხვები ფოკუსირებულნი არიან გამოყენებით და განვითარებაზე ორიენტირებულ კვლევებზე.

⁴⁶ Commission Staff Working Document. Annex to the Communication from the Commission to the Council, the European Parliament and the European Economic and Social Committee. Towards a more effective use of tax incentives in favor of R&D {Com(2006) 728 final}. http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/site/en/com/2006/com2006_0728en01.pdf

⁴⁷ Jan Nill. Design and use of fiscal incentives to promote business RDI in CREST countries - an overview. Final version, September 15th, 2005. http://ec.europa.eu/invest-in-research/pdf/download_en/fisc_inc_country_overview_ipts_final.pdf

⁴⁸ იქვე.

⁴⁹ Tax Incentives for Research and Development: Trends and Issues. OECD. 2002. <http://www.oecd.org/dataoecd/12/27/2498389.pdf>

დანართი 3.1. ევროგაერთიანების წევრი ქვეყნების გამოცდილება კვლევებისა და ინოვაციების საგადასახადო მხარდაჭერის სფეროში

საფრანგეთი

ევროგაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის საფრანგეთი ერთ-ერთი კვლევებისა და ინოვაციების საგადასახადო მხარდაჭერის თვალსაზრისით მოწინავე გამოცდილების მქონე ქვეყანაა. ამ სფეროში მთავარი პროგრამა - “Crédit d’impôt recherche” („კვლევების საგადასახადო კრედიტი“; CIR) ამოქმედდა 80-იან წლებში და ფოკუსირებული იყო ყველა დარგის ყველა ზომის კომპანიაზე. 2004 წელს ამოქმედდა დამატებითი პროგრამა - “Jeune Entreprises Innovantes” (ახალგაზრდა ინოვაციური კომპანიები), რომელიც მიმართულია საფრანგეთის ახალგაზრდა კვლევითი კომპანიების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობაზე. ასეთი კომპანიის სტატუსის მისაღებად:

- კომპანიის საქმიანობის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 8 წელს;
- კვლევებზე გაწეული დანახარჯები არ უნდა იყოს საერთო დანახარჯების 15 პროცენტზე ნაკლები;
- დასაქმებულთა საერთო რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 250 კაცს;
- წლიური ბრუნვა არ უნდა აღემატებოდეს 50 მლნ ევროს.

ამასთან, ასეთი კომპანიების 75 პროცენტი უნდა იყოს ინდივიდუალურ ან სარისკო კაპიტალის კომპანიების მფლობელობაში.

ზემოაღნიშნული სტატუსის მქონე კომპანიები პირველი სამი წლის განმავლობაში გათავისუფლებულნი არიან გადასახადისაგან, ხოლო მომდევნო 2 წლის განმავლობაში (მე-4 და მე-5 წელს) – 50 პროცენტით თავისუფლებიან გადასახადისაგან. ამასთან, ფინანსური შემოსავალი იბეგრება. მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ ასეთი კომპანიების ახალი შენობები გაათავისუფლონ ქონების გადასახადისა და სპეციალისტებზე გადასახადისაგან 7 წლით. თუმცა, ევროგაერთიანების წესებით, ზემოთ ამოთვლილმა შეღავათებმა არ უნდა გადააჭარბოს 100 ათას ევროს.

CIR საფრანგეთის ხელისუფლების მხრიდან განიხილება ქვეყნის მთავარი სტრატეგია, რათა შეინარ უნოს ქვეყანაში დაფუძნებული დიდი კომპანიები და ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა, ინოვაციებზე ორიენტირებულ საწარმოთა განვითარებას. გადახდილი საგადასახადო კრედიტის 54 პროცენტი სწორედ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის.

CIR-ის თანახმად, კრედიტის მოცულობის დასაანგარიშებლად, განისაზღვრება კვლევებზე გაწეული შემდეგი ხარჯები:

- კვლევებზე დასაქმებულთა ხელფასი (დოქტორების ხელფასის 200%);
- კვლევებთან დაკავშირებული მასალების ხარჯები;
- ახალი მანქანა-მოწყობილობების ხარჯები;
- ქვეკონტრაქტებით გათვალისწინებული კვლევების ხარჯები;
- აკადემიების ან სახელმწიფო კვლევითი ინსტიტუტების მიერ შესრულებული კვლევების დაფინანსების ხარჯების 200%.

უფრო მეტი პრივილეგიებით სარგებლობენ ახალგაზრდა ინოვაციური კომპანიები. ეს სტატუსი მარტო 2004 წელს საფრანგეთში 862-მა კომპანიამ მიიღო, რომლებშიც 4880 კაცი იყო დასაქმებული და შესაბამისი პროგრამის დაფინანსებამ წლიურად დაახლოებით 40 მლნ ევრო შეადგინა. თუმცა, 2006 წლისთვის ნავარაუდვეი იყო ამ ხარჯების გაზრდა 120 მლნ ევრომდე.

წყარო: 1. Promoting innovation by tax incentives. A review of strategies and their importance to biotech growth. Supported by the European Commission. Specific Support Action, 6th Framework Program. http://www.finbio.net/download/yic-report_june_2006.pdf,
2. <http://www.lowtax.net/lowtax/html/offon/france/fraspec.html>

ფისკალური სტიმულები ხელს უწყობს კვლევების გაფართოებას როგორც მცირე და საშუალო, ისე დიდ კომპანიებში. თუმცა, ეს ღონისძიება შეიძლება ხარჯიანი აღმოჩნდეს ბიუჯეტისათვის. კერძოდ, ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში, კვლევების სფეროში ბაზრის უთანაბრობის გაწონასწორება სამთავრობო გრანტებით ხდება.

საგადასახადო სტიმულები კვლევებსა და ინოვაციებზე ძირითადად 3 ტიპისაა:

- გადასახადების გადავადება⁵⁰
- საგადასახადო შეღავათი⁵¹
- საგადასახადო კრედიტი⁵².

გადასახადების გადავადება გულისხმობს გადასახადების ვადის გაგრძელებას. ამ ტიპის საგადასახადო სტიმულები არსებობს ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის კვლევებთან დაკავშირებულ საგადასახადო რეჟიმებში.

საგადასახადო შეღავათი წარმოადგენს კვლევებზე გაწეული ხარჯების თანხას, რომელიც დასაბეგრი თანხის განსაზღვრის მიზნით შეიძლება გამოაკლდეს ფაქტიურ დანახარჯებს.

საგადასახადო კრედიტი არსებობს გადასახადის უკან დაბრუნების ფორმით. იგი წარმოადგენს საგადასახადო ფასდაკლებას, რითაც შეიძლება შემცირდეს კომპანიის დასაბეგრი თანხა, ან - თანხას, რომელიც ეძლევა ზოგიერთ მცირე და საშუალო საწარმოს. საგადასახადო კრედიტი ღვინდება როგორც გადასახდელი გადასახადის პროცენტი.

გარდა აღნიშნულისა, ზოგიერთი წვერი ქვეყანა იყენებს საგადასახადო სტიმულებსაც, რომლებიც მიმართულია სამეცნიერო პერსონალის დაქირავების ხარჯების შემცირებისაკენ. ეს მექანიზმი გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა კვლევითი საქმიანობის მიზნები მოითხოვს დაქირავებულ მკვლევართა რიცხვის ზრდას.

არაერთი გამოკვლევა⁵³ უ ვენებს, რომ ევროპის ქვეყნების უმეტესობა უფრო მეტად მიმართავს საგადასახადო კრედიტს, ვიდრე საგადასახადო შეღავათებს. ეს საგადასახადო სტიმულები ძირითადად 3 ფორმით “მუშაობს”, გამომდინარე იქიდან, თუ რა აითვლება მის ბაზად. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს:

- კვლევებზე გაწეული დანახარჯების დონე მოცემული წლისათვის;
- კვლევებზე გაწეული დანახარჯების მატება;
- შერეული, ანუ კვლევებზე გაწეული დანახარჯების დონისა და მატების კომბინაცია.

კვლევებისათვის გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათების პირობები ქვეყნების მიხედვით საკმაოდ განსხვავებულია (იხ. ცხრილი 3.2) და იცვლება 13.5 პროცენტიდან (ბელგია) 300 პროცენტამდე (უნგრეთი). ამასთან, ქვეყნების

⁵⁰ tax deferral.

⁵¹ tax allowance.

⁵² tax credit.

⁵³ Tax Incentives for Research and Development: Trends and Issues. Science Technology Industry. OECD. 2002. <http://www.oecd.org/dataoecd/12/27/2498389.pdf>

3/4 საგადასახადო სტიმულებზე აწესებს წლიურ ლიმიტს. ასეთი ლიმიტი ორგვარია: კვლევებზე გაწეული დანახარჯების აბსოლუტური მოცულობის „ჭერი“ ან დასაკავებელი გადასახადის მაქსიმალური მოცულობის „ჭერი“.

ცხრილი 3.2

კვლევებისათვის გათვალისწინებული ფისკალური სტიმულების განაკვეთები ქვეყნების მიხედვით^{54 55}

	კვლევებზე დანახარჯების დონე	კვლევებზე დანახარჯების მატება
საგადასახადო კრედიტი	საფრანგეთი (10%) ირლანდია (0-20%) ნიდერლანდები (14-42%) ნორვეგია (18-20%) პორტუგალია (20%) სლოვენია (10-20%) ესპანეთი (30%) თურქეთი (40%)	საფრანგეთი (40%) ირლანდია (20%) პორტუგალია (50%) ესპანეთი (50%)
საგადასახადო შეღავათი	ავსტრია (125%) ბელგია (13.5-20.5%) დანია (10-150%) უნგრეთი (200-300%) მალტა (135-200%) გაერთიანებული სამეფო (125-150%)	ავსტრია (135%) იტალია (130%)

⁵⁴ Commission Staff Working Document. Annex to the Communication from the Commission to the Council, the European Parliament and the European Economic and Social Committee. Towards a more effective use of tax incentives in favor of R&D {Com(2006) 728 final}. http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/site/en/com/2006/com2006_0728en01.pdf

⁵⁵ Jan Nill. Design and use of fiscal incentives to promote business RDI in CREST countries - an overview. Final version, September 15th, 2005. http://ec.europa.eu/invest-in-research/pdf/download_en/fisc_inc_country_overview_ipts_final.pdf

ჩანართი 3.2. ევროგაერთიანების წევრი ქვეყნების გამოცდილება კვლევებისა და ინოვაციების საგადასახადო მხარდაჭერის სფეროში

გაერთიანებული სამეფო

საგადასახადო სტიმულირების პროგრამა გაერთიანებულ სამეფოში კვლევების გაფართოებისა და ინოვაციების წახალისების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ამ ქვეყნის ხელისუფლების მიზანია 2014 წლისათვის გაზარდოს დანახარჯები კვლევებზე მთლიანი შიდა პროდუქტის 2.5 პროცენტამდე, აგრეთვე, საგადასახადო სტიმულების რეჟიმი იყოს მარტივი და საბაზრო მექანიზმების შესაბამისი.

გაერთიანებულ სამეფოში კვლევით საქმიანობაზე გადასახადის შემსუბუქების რეჟიმი, რომლის მიზანია მცირე და საშუალო საწარმოების მიერ ასეთ საქმიანობაში ინვესტირების მხარდაჭერა, შემოიღეს 2000 წელს. 2002 წლიდან ეს სქემა გაფართოვდა და დიდი კომპანიებიც მოიცვა.

გაერთიანებული სამეფოს საგადასახადო სტიმულების პროგრამა ემყარება საგადასახადო შეღავათებს. მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ეს შეღავათები ითვალისწინებს კვლევებზე გაწეული დანახარჯების 150, დიდი საწარმოებისათვის კი 125 პროცენტით შემცირებას. აგრეთვე, მოწოდებლობებსა და შენობა-ნაგებობებზე გაწეული ინვესტიციების დაუყოვნებლივ ამოწერას (იხ. ცხრილები 3.2 და 3.3).

არამომგებიანი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის გათვალისწინებულია გადასახადის დაუყოვნებლივ დაბრუნება. გარდა 150 პროცენტის შეღავათისა, კვლევებზე გაწეული დანახარჯების მიხედვით, მცირე და საშუალო საწარმოებს შეუძლიათ ასეთი დანახარჯების 24 პროცენტის ფარგლებში მიიღონ კრედიტი, როგორც ნაღდი ფულის ინექცია. ასეთი კრედიტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ, პოტენციურად მცირე და საშუალო საწარმოებისათვის კვლევებზე გაწეულ დანახარჯებზე გადასახადი მცირდება დაახლოებით 30 პროცენტით (150% გამრავლებული 19%=28.5%, 19-პროცენტის საშემოსავლო გადასახადის პირობებში). ამდენად, 24 პროცენტის ფარგლებში კრედიტის მიღების შესაძლებლობა ნიშნავს, რომ მცირე ან საშუალო საწარმოს შეუძლია კვლევებზე დახარჯულ ყოველ 100 ფუნტ სტერლინგზე მიიღოს 24 ფუნტი სტერლინგი დღესვე, ვიდრე 30 ფუნტი სტერლინგი როდესმე მომავალში. გადასახადის გადამხდელის მხრიდან ასეთი კრედიტი ნიშნავს ინვესტიციებს მომავალ გადასახადებში. ქვეყნის ხელისუფლება, გარდა იმისა, რომ ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდას, მათი კვლევითი საქმიანობის სტიმულირებისათვის გაცემული ყოველი 24 ფუნტი სტერლინგით, 30 ფუნტი სტერლინგით ამცირებს მომავალ პოტენციურ საგადასახადო მოთხოვნებს.

გაერთიანებულ სამეფოში კვლევითი სამუშაოებისა და ინოვაციების მხარდაჭერისა და საგადასახადო სტიმულირების პროგრამების წარმატებაზე ისიც მეტყველებს, რომ საგადასახადო სტიმულირების სქემაში მონაწილეობისათვის მარტო 2005 წლის დეკემბერში მცირე და საშუალო კომპანიებმა წარადგინეს 17580 განაცხადი, ხოლო დიდმა კომპანიებმა – 2000-ზე მეტი. მთლიანობაში, მცირე და საშუალო კომპანიებს გადასახადები შეუმცირდათ 903 მლნ ფუნტი სტერლინგით, ხოლო დიდ კომპანიებს – 530 მლნ ფუნტი სტერლინგით. ამ მხარდაჭერის დაახლოებით 90 პროცენტს სწორედ საგადასახადო კრედიტები შეადგენდა.

წყარო: Promoting innovation by tax incentives. A review of strategies and their importance to biotech growth. Supported by the European Commission. Specific Support Action, 6th Framework Program. http://www.finbio.net/download/yic-report_june_2006.pdf

საგადასახადო რეჟიმები მოითხოვს კვლევებთან დაკავშირებული დანახარჯების სპეციფიკაციას, რადგანაც სხვადასხვა ქვეყანა საგადასახადო სტიმულებს იყენებს სხვადასხვა ბაზის მიმართ. კერძოდ, ევროგაერთიანების წევრი ქვეყნები განიხილავენ 3 ტიპის დანახარჯებს: ხელფასებს და სოციალურ ხარჯებს, სხვა მიმდინარე დანახარჯებს და კაპიტალურ დანახარჯებს.

ზოგიერთი ქვეყანა კვლევებთან დაკავშირებული კაპიტალური დანახარჯების ჩამოწერას იმავე წელს ახდენს, მაშინ, როცა სხვა ქვეყნები იყენებენ ან დაჩქარებული ამორტიზაციის მეთოდს, ან თანდათანობითი ამორტიზაციის მეთოდს.

ცხრილი 3.3

დაჩქარებული ამორტიზაცია კვლევებისათვის განკუთვნილ კაპიტალურ აქტივებზე, 2001/2002⁵⁶

ქვეყანა	მანქანა- მოწყობილობები	შენობები
ბელგია	3 წელი	
გაერთიანებული სამეფო	100%	100%
დანია	100%	100%
ესპანეთი	100%	
ირლანდია	100%	100%
ნიდერლანდები	5 წელი	
პორტუგალია	4 წელი	
საბერძნეთი	3 წელი	12.5 წელი

ამდენად, საგადასახადო სტიმულები სერიოზული მოტივაციაა ინვესტორებისა და კომპანიებისათვის, რათა განახორციელონ დაბანდები კვლევებსა და ინოვაციებში. თუმცა, მას გააჩნია ნაკლოვანი მხარეებიც.

პირველი, საგადასახადო შეღავათები ეხმარება უკვე შექმნილ კომპანიებს, რათა თავიანთი მოგება გამოიყენონ გარკვეული უპირატესობების მისაღწევად. დამწვებ კომპანიებს კი, რომელთაც არა აქვთ დაგროვილი საკმარისი მოგება, უჭირთ საგადასახადო ვალდებულებებთან გამკლავება.

მეორე, მსუბუქი საგადასახადო რეჟიმის მქონე ქვეყნებში, საგადასახადო სტიმულებს შეუძლიათ უფრო მეტად გაზარდონ გადასახადისაგან თავის

⁵⁶ Tax Incentives for Research and Development: Trends and Issues. Science Technology Industry. OECD. 2002.

არიდების პრეცედენტები, ვიდრე ეფექტიანი ინვესტირება. არის საფრთხე, რომ კომპანიებმა მოახდინონ ჩვეულებრივი ხარჯების დაუსაბუთებელი გადაკლასიფიცირება კვლევებზე გაწეულ ხარჯებად. ასეთი სახის ქმედებების თავიდან აცილება მოითხოვს დახვეწილი ინსპექტირების სისტემის არსებობას. ასევე, საგადასახადო კანონმდებლობის ნაკლოვანებებმაც შესაძლოა შექმნას სიტუაცია, როცა კომპანიები შეღავათებს „დამსახურებების“ გარეშე მიიღებენ.

მესამე. რადგანაც საგადასახადო სტიმულები არაპირდაპირი ხასიათისაა, ბიუჯეტიდან მხარდაჭერის ფისკალური დანახარჯი პოლიტიკის შემქმნელთა თვალთახედვიდან დაფარულია, მაშინ, როცა პირდაპირი მხარდაჭერის პროგრამები ბიუჯეტში საკმაოდ გამჭვირვალეა.

მეოთხე. საგადასახადო შეღავათები, გრანტებისაგან განსხვავებით, შეუძლებელია გამოყენებულ იქნას კერძო სექტორის, უნივერსიტეტებისა და კვლევითი ცენტრების თანამშრომლობის წასახალისებლად, რაც კვლევითი საქმიანობის ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

დასკვნა

ამდენად, ვენ მიმოვიხილეთ კვლევებისა და ინოვაციების ფინანსური მხარდაჭერის სფეროში ევროპის ქვეყნებში აპრობირებული გამოცდილება. ეს უკანასკნელი არაერთ წელიწადს ითვლის და მის წარმატებულობაზე ამ ქვეყნების ტექნოლოგიური განვითარების დონე მეტყველებს. გამოქვეყნებული ოფიციალური მასალების ანალიზმა დაგვანახა, რომ ერთიანი ევროპული ოჯახი ერთსულოვანია იმ საკითხში, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის ნებისმიერი ეროვნული ეკონომიკის ხერხემალია, ხოლო ეკონომიკის ამ სეგმენტის აქტიური ინოვაციური საქმიანობა – ეკონომიკური და სოციალური პრობლემების წარმატებით დაძლევის საწინდარი.

მცირე და საშუალო ბიზნესი სწორედ იმიტომაც არის მცირე, რომ მისი ფინანსები არ არის საკმარისი მსოფლიო ბაზრებზე არსებული კონკურენციის გასამკლავებლად. ამიტომ იგი საჭიროებს ფინანსურ მხარდაჭერას, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციური საქმიანობის დაფინანსების ფინანსური ინსტრუმენტები სულ უფრო ქმედითი და ხელმისაწვდომი ხდება ათეული ათასობით ბენეფიციარისათვის, თუმცა ევროპას, ამ თვალსაზრისით, კვლავ სჭირდება ძალისხმევა, რათა ამ სფეროში გაუტოლდეს აშშ-სა და იაპონიის გამოცდილებასა და დაფინანსების მასშტაბებს.

მცირე და საშუალო ბიზნესის კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის ერთ-ერთი ფორმა, ფისკალურ სტიმულებს უკავშირდება

საერთო რეკომენდაციები, კვლევებთან დაკავშირებული საგადასახადო სტიმულების დიზაინთან მიმართებაში მდგომარეობს შემდეგში⁵⁷:

- ევროგაერთიანების ქვეყნები და საქმიანი საზოგადოებრიობა უპირატესობას ანიჭებს ისეთ სტიმულებს, რომლებიც გამოირჩევა სიმარტივით, რეგულირდება კანონით და თანხვედრია ხარჯებთან, საიმედოობასა და სტაბილურობასთან;
- წვერი ქვეყნების ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ სტიმულები იყოს გამჭვირვალე, ადვილად ხელმისაწვდომი ნებისმიერი კომპანიისათვის, რათა მათ გაუჩნდეთ მოტივი გაზარდონ დანახარჯები და გააფართოვონ კვლევითი და ინოვაციური საქმიანობა;
- კვლევითი სამუშაოების გაფართოებისათვის, საჭირო სტაბილურობის განცდის ჩამოსაყალიბებლად რეკომენდებულია, რომ საგადასახადო სტიმულები იყოს შედარებით გრძელვადიანი და ამით ხელი შეეწყოს კვლევებში გრძელვადიანი ინვესტირების პროგნოზირებას;
- რეკომენდებულია აგრეთვე, რომ კვლევებთან დაკავშირებული საგადასახადო სტიმულირების რეჟიმების ჩამოყალიბებისას, ნათლად იყოს განსაზღვრული, რომელი მონაცემების მიმართ უნდა იყოს ეს სტიმულები გამოყენებული და საიდან და რა გზით უნდა მიიღონ ისინი.

⁵⁷ Commission Staff Working Document. Annex to the Communication from the Commission to the Council, the European Parliament and the European Economic and Social Committee. Towards a more effective use of tax incentives in favor of R&D {Com(2006) 728 final}. http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/site/en/com/2006/com2006_0728en01.pdf